

# საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1500—1590 წწ.

მ. სვანიძე, ს. ჯიქია

(წარმოდგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)

წინამდებარე სტატიაში ვაქვეყნებთ ოსმალთა სულთნის მიერ სიმონ ქართლის მეფისადმი გამოგზავნილი უავგუსტოესი ხელშეკრულების თურქულ ტექსტს, ქართულ თარგმანს კომენტარებითა და გამოკვლევით. ეს დოკუმენტი გამოცემულია ცნობილი ოსმალთა სახელმწიფო მოღვაწის აჰმედ ფერიდუნ ბეგის (გარდაიცვალა 1583 წ.) მიერ XVI საუკუნეში შედგენილ ოფიციალურ მიწერილ კრებულში მაჯმუა-ი მუნშაათ-ი სელატინ, რომელიც (რა თქმა უნდა, შემდგენლის გარდაცვალების შემდეგ) ორჯერ გამოიცა სტამბოლში: 1848-1849-სა და 1858 წლებში (ჩვენ გავითვალისწინეთ ორივე გამოცემა)<sup>1</sup> აჰმედ ფერიდუნისა და მის მიერ შედგენილი ამ მნიშვნელოვანი კრებულის შესახებ ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. ა. ფერიდუნზე საერთოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს და ჩვენშიც რამდენჯერმე უწერიათ მასზე<sup>2</sup>.

ოსმალეთის სულთნის მიერ ქართლის მეფე სიმონ I-სადმი გაცემული აქ წარმოდგენილი უავგუსტოესი ხელშეკრულების ტექსტი მრავალ მხრივ საყურადღებო დოკუმენტია. მისი ანალიზის შედეგად შესაძლებელი ხდება საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის რიგი საკითხების ახლებურად გაშუქება, ხოლო რიგ შემთხვევაში ქართულ წყაროებში დატული ცნობების გარკვევა-დაზუსტება. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს დოკუმენტი დღემდე სპეციალურად არავის შეუსწავლია.

ამ დოკუმენტს თარიღი არა აქვს, მაგრამ მისი შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი გაცემული უნდა იყოს ირან-ოსმალეთის მეორე ომის (1578-1590 წწ.) დროს<sup>3</sup>. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს შემდეგი გარემოება: აქ მოხსენიებულია

<sup>1</sup> احمد فریدون بن. مجموعه منشآت سلطین

<sup>2</sup> об. Ch. Rieu, Catalog of the Turkish manuscripts in British Museum. ლონდონი, 1888, 80-83; Fr. Babinger, GOW, 106; I. Mordtmann, I, II, 100; IA, IV, 569; A. Крымский, История Турции и ее литературы, I, მოსკოვი, 1916 წ., გვ. 249; აგრეთვე: ს. ჯიქია, ბონტკრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი. „ენიმკი“-ს მოამბე, XIII, თბილისი, 1942, გვ. 233-234; ს. ჯიქია, ეპიზოდი ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან. აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966.

<sup>3</sup> ამავე თვალსაზრისს იზიარებს თურქი ისტორიკოსი ი. ჰ. უზუნჩარშილი: Uzuncarşılı I. H. Osmanlı tarihi, ტ. 3, ნაწ. 2, გვ. 107.

ოსმალების ლაშქრის მთავარსარდალი ირანთან ომის დროს ფერჰად ფაშა, რომელთანაც სიმონ მეფემ არა ერთი ცხარე ბრძოლა გადაიხადა. ამასთანავე ამ საბუთში მოთხრობილია სიმონ I-ის იმერეთში ლაშქრობის ამბავი, რომელიც ამავე პერიოდშია მომხდარი (უფრო დაწვრილებით ამ თარიღის დადგენაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

უავგუსტოესი ხელშეკრულებიდან არ ჩანს, თუ რომელი სულთნის მიერ იყო იგი ბოძებული, მაგრამ, რადგანაც საბუთი გაცემულია ირან-ოსმალეთის მეორე ომის დროს, ცხადი ხდება, რომ მისი ავტორი სულთან მურად III (1574-1595 წწ.) უნდა იყოს.

ხსენებული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სიმონ ქართლის მეფეს ოსმალეთთან ომი შეუწყვეტია და ოსმალთა მთავარსარდალ ფერჰად ფაშასთან ზავი დაუდგია, რასაც მოწმობს შემდეგი ადგილი სულთნის წერილისა სიმონ მეფისადმი: „ჩვენს სარდალს [ფერჰად-ფაშას] წერილი გამოუგზავნე და ჩემს სევედნიერ სამეფო ტახტს ყოველ-მხრივი მორჩილება და გამგონობა გამოუცხადე“.

მოტანილი ცნობიდან ჩანს, რომ სიმონ მეფემ ფერჰად ფაშასთან ზავი დადო მაშინ, როდესაც იგი ოსმალეთის ლაშქრის მთავარსარდალი იყო ირანთან წარმოებულ ომის დროს, ხოლო ცნობილია ფერჰად ფაშა ოსმალეთ-ირანის მეორე ომისას ორჯერ მეთაურობდა ოსმალეთის ჯარს. პირველად — 1582-1584 წწ., მეორედ — 1586-1590 წლებში<sup>4</sup>.

აქედან პირველი თარიღი უნდა გამოირიცხოს შემდეგი მიზეზების გამო: ამ წლებში ფერჰად ფაშასთან გამოცხადდა სიმონ მეფის ძმა დაუდ ხანი, მას მორჩილება გამოუცხადა და სიმონ I წინააღმდეგ ომში დახმარება აღუთქვა. სულთანმა დაუდ ხანს ოჯაკლიკის წესით უბოძა სიმონ მეფის მამულები, რომლებიც ოსმალებმა საქართველოში დაიპყრეს<sup>5</sup>. ამ დროს ფერჰად ფაშამ სიმონ I წინააღმდეგ ჩაატარა რიგი სამხედრო ოპერაციებისა. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ფერჰად ფაშასა და სიმონ მეფეს შორის დაზავება გამორიცხული ჩანს. საფიქრებელია, რომ ეს შეთანხმება უფრო გვიან, 1586-1590 წლებში უნდა მომხდარიყო.

პროფ. ვ. გაბაშვილი ოსმალეთთან სიმონ I ბრძოლების შეწყვეტას 1589 წლით ათარიღებს<sup>6</sup>.

ოსმალებმა ირანის წინააღმდეგ ომში ფერჰად ფაშას მეორე სარდლობის დროს გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

1587 წელს ოსმალებმა ხელახლა დაიპყრეს ახალციხე. ამავე დროს მათ საქართველოში დაპყრობილი ციხე-ქალაქები გაამაგრეს თბილისში, გორში, ლორში, დმანისში. ალექსანდრე კახეთის მეფემ ოსმალეთის სასარგებლოდ ხელახლა ხარკის გადახდა იკისრა და კვლავ მორჩილება გამოუცხადა სულთანს<sup>7</sup>.

1588 წელს ფერჰად ფაშამ განჯა დაიპყრო. ოსმალებს მორჩილება გამოუ-

<sup>4</sup> Mufassal Osmanlı tarihi, სტამბოლი, 1959, ტ. III, გვ. 1347-1365, 1390, 1391.

<sup>5</sup> تاریخ سلطنتی — გვ. 187, თარგმანი: გ. ფუთურიძე, მესტაფა სელანიქი საქართველოს შესახებ, „ოსუს-სრომები“, ტ. 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, გვ. 268.

<sup>6</sup> ვ. გაბაშვილი, თბილისი XVI-XVII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში, „ოსუს-სრომები“, ტ. 99, აღმოსავლური სერია, III, გვ. 261.

<sup>7</sup> تاریخ بجوی — ტ. II, 88, 89. თარგმანი; ს. ჭიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 77.

ცხადეს აგრეთვე ყარაბახის ამირებმაც<sup>8</sup>. ყოველივე ამის გამო ოსმალების ძალა-უფლება ამიერკავკასიაში რამდენადმე განმტკიცდა.

ამ დროს ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარებით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1588 წელს ალექსანდრე კახეთის მეფის უფროსი ვაჟი ერეკლე სულთანთან „გაიქცა“. ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ „მართალია, მამა [ალექსანდრე კახეთის მეფე] საქვეყნოდ ჰგმობდა შვილს ამ ურჩობისათვის, მაგრამ მისი ამ ფიცის არავის სწამდა და ერეკლე ბატონიშვილს კახეთის მეფის მიერ ღონიერად კარზე გაგზავნილ მძევლად სთვლიდნენ“<sup>9</sup>.

1587 წელს ირანის ტახტზე ავიდა შაჰ-აბას I. უპირველესად ყოვლისა, მან მიზნად დაისახა ოსმალებს დაზავებოდა, რაც მას საშუალებას მისცემდა ქვეყნის შიგნით განმტკიცებინა თავისი ძალა-უფლება და მხოლოდ ამის შემდეგ აპირებდა იგი ოსმალეთთან ომის განახლებას. 1588 წელს შაჰ-აბასმა ამ მიზნით სტამბოლში სულთანთან ელჩი გაგზავნა. საყურადღებოა, რომ ერეკლე ალექსანდრე კახეთის მეფის შვილი სწორედ ამ დროს „გაიქცა“ ოსმალეთში. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ერეკლე ბატონიშვილის შუამავლის როლი უნდა ეთამაშა ირან-ოსმალეთის ზავის დადების საქმეში. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ამგვარი ხასიათის დავალებით კახეთის მეფის წარმომადგენელი ირანის ელჩთან ერთად ჯერ კიდევ 1582 წელს სტამბოლში იქნა გაგზავნილი<sup>10</sup>. დასაშვებია აგრეთვე ისიც, რომ ერეკლეს სიმონ ქართლის მეფისაგანაც ჰქონდა მიღებული ანალოგიური ხასიათის დავალება. საყურადღებოა, რომ ერეკლე კახთა ბატონიშვილმა ჯერ კიდევ ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიაში ლაშქრობის დროს დახმარება აღმოუჩინა ოსმალებს. ლალა ფაშამ მას შაქი უწყალობა და ერეკლე მის ზეგლარბეგად დანიშნა<sup>11</sup>.

ისე ჩანდა, რომ ერეკლე ბატონიშვილი ოსმალეთის ორიენტაციისა იყო.

ოსმალეთთან ათი წლის სისხლისმღვრელი ომის შედეგად საქართველოს სამეფოებს შორის ქართლი ყველაზე მეტად აოხრდა და გააპარტახდა. ხოლო მოსახლეობის მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. საჭირო იყო შესვენება და ჭრილობების მოშუშება.

შექმნილ ვითარებაში სიმონ მეფეს ოსმალეთის წინააღმდეგ პირისპირ ომის გაგრძელება არახელსაყრელად მიაჩნდა და გადაწყვიტა ოსმალეთს დაზავებოდა.

ამასთან დაკავშირებით „ოსმალეთის ვრცელ ისტორიაში“ შემდეგი ცნობა მოიპოვება: 1588 წელს განჯის ციხის აშენებისა და მის მიდამოებში ოსმალთა ბატონობის განმტკიცების შემდეგ ქართლის მეფემ და ზოგიერთმა ყარაბახის ემირმა ოსმალეთს მორჩილება გამოუცხადეს<sup>12</sup>.

ამ ფაქტს, აგრეთვე, მხარს უჭერს შემდეგი ადგილი ვახუშტის ისტორიიდან: „ამ ჟამებთა [საუბარი ეხება 1588 წელს] ვინაიდგან გარე-მტერთა არღა-რა

<sup>8</sup> Mufassal Osmanlı tarihi, ტ. III, გვ. 1362.

<sup>9</sup> ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სუკუნეთა მიჯნაზე, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნ. I, 1944, გვ. 83.

<sup>10</sup> Minadoi Thomaso, Historia della guerra fra Turchi et Persiani, Turin, 1588, გვ. 103.

<sup>11</sup> تارىخى جوى — ტ. II, გვ. 45, 46. თარგმანი: ს. ჭიქია, ი. ფეჩივის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 44.

<sup>12</sup> Mufassal Osmanlı tarihi, ტ. III, გვ. 1362.

ჰქონდა ბრძოლა მეფესა, მოიხსენა შური გიორგი იმერთა მეფისა და ინება დაპყრობა იმერეთისა“<sup>13</sup>.

ამ დროს საქართველოს მთავარი გარეშე მტერი, როგორც ცნობილია, ოსმალეთი იყო. და თუ „გარე-მტერთა არა-რა აქვნდა ბრძოლა მეფისა“: მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ხნისათვის სიმონ მეფეს ოსმალეთთან ზავი ჰქონდა დადებული. ე. ი. ვახუშტის ცნობის ანალიზიდანაც ირკვევა, რომ 1588 წელს სიმონ მეფეს ოსმალეთთან ზავი ჰქონდა შეკრული.

ამრიგად, ოსმალეთის ამიერკავკასიაში სამხედრო წარმატებების, ირანის მიერ ოსმალეთთან დაწყებული საზავო მოლაპარაკებისა და საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო, სიმონ მეფე იძულებული შეიქნა ფერპად ფაშასთვის მორჩილება გამოეცხადებინა და ოსმალეთს დაზავებოდა. ჩვენი აზრით, სიმონ ქართლის მეფესა და ფერპად ფაშას შორის ზავი 1588 წელს დაიდო.

თავის მხრივ, ოსმალეთი დაინტერესებული იყო ზავის დადებით. ოსმალეთის ეკონომიური მდგომარეობა სულ უფრო მეტად რთულდებოდა. ირანთან ომის წარმოება დიდ სახსრებს მოითხოვდა. ოსმალეთის მთავრობა ახალ-ახალი გადასახადების განწესებით ცდილობდა კრიზისისაგან თავის დაღწევას, მაგრამ ეს ღონისძიება კიდევ უფრო ამწვავებდა მწარმოებელი კლასის მდგომარეობას, რის გამო სულ მალე ოსმალეთში გლახთა აჯანყებამ იფეთქა.

არც საგარეო მდგომარეობა იყო სახარბიელო. მართალია, ოსმალეთს ავსტრიის იმპერატორთან ზავი ჰქონდა დადებული, მაგრამ მასთან ურთიერთობა რთულდებოდა და ომის დაწყება გარდაუვალი ჩანდა.

ამ პერიოდში თანდათანობით სამხრეთისაკენ მოიწვედა რუსეთი და მას სულ უფრო მეტად აინტერესებდა ამიერკავკასიის ქვეყნები. 1587 წელს ალექსანდრე კახეთის მეფემ რუსეთთან მფარველობითი ტრაქტატი დადო. ამ ფაქტს უაღრესად დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ამიერიდან საქართველოს მეფეები ცდილობდნენ რუსეთის დახმარებით ოსმალეთისა თუ ირანის აგრესიისაგან თავი დაეცვათ<sup>14</sup>.

რუსეთის გამოჩენა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ასპარეზზე ოსმალეთს ძალზე აფიქრებდა.

ასეთ ვითარებაში მურად III დაინტერესებული იყო ირანთან ზავის დადებით. ოსმალეთის მთავარსარდალ ფერპად ფაშას სულთანისაგან დავალებული ჰქონდა საბოლოოდ გაეტეხა ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგობა და აეძულებინა ისინი ოსმალეთისათვის მორჩილება გამოეცხადებინათ, რაც საწინდარი უნდა ყოფილიყო ირანთან ზავის დადების საქმეში. ამ მიზნის განხორციელებისათვის ფერპად ფაშა რიგ შემთხვევაში იძულებული იყო კომპრომისის გზას დასდგომოდა. სიმონ მეფესთან დაზავების შემდეგ ირანთან ზავის დადებისათვის გზა ფაქტიურად გახსნილი იყო<sup>15</sup>.

ქართულ წყაროებში არ გვხვდება ცნობები სიმონ ქართლის მეფესა და ფერპად ფაშას შორის ზავის დადების შესახებ. მაგრამ ქართულ მატიაწეებში

<sup>13</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 1469—1800 წწ., ზ. კიკინაძის გამოცემა თფ., 1913, გვ. 253.

<sup>14</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 110.

<sup>15</sup> 1590 წელს ფერპად ფაშას აქტიური მონაწილეობით ოსმალეთსა და ირანს შორის ზევი დაიდო. მისი ამ ღვაწლის გამო ზოგიერთი თურქი ისტორიკოსი 1590 წელს სტამბოლს ხელშეკრულებას „ფერპად ფაშას ზავს“ უწოდებს. Mufassal Osmanlı tarihi, ტ. III, გვ. 1391.

თავისებურად აისახა სიმონ მეფის მოლაპარაკება ოსმალთა ფაშასთან. მართალია, იქ არაა აღნიშნული, თუ რომელ ოსმალთა ფაშასთან აწარმოა მოლაპარაკება სიმონ მეფემ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ფერჰად ფაშა იყო. ეს ამბავი ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ შემდეგნაირადაა მოთხრობილი: „მაშინ მოიხელოვნა და მოირთო ელჩად მეფე სვიმონ და მივიდა ფაშასთან სვიმონ მეფის მაგიერად წარმოუთხრნა სიტყვანი ესრეთ, ვითარმედ: „სვიმონ მეფემან მოგახსენათ: მეყოფა ამდენის ხმლის ქნევა და ომი ყაენის გულისათვისო, თუ გინდათ თქვენ იყავით ჩემი ბატონი, თუ უნდა ისო. აწ თქუენთვისაც სჯობს და ჩუენთვისაც, შევრიგდეთ და მოვისვენოთ ამდენის ლაშქრობისგან“. მაშინ, რა ესმა ფაშასა სიტყვანი ესე, გაიხარა და შემოუთვალა ესრეთ, რომ კარგად შემოგივლია და სჯობს რომ შევრიგდეთო“<sup>16</sup>.

დაახლოებით ანალოგიური შინაარსის ცნობა მოიპოვება ვახუშტის ისტორიასა<sup>17</sup> და „ახალი ქართლის ცხოვრების“ ე. წ. მესამე ტექსტში<sup>18</sup>.

ქართულ წყაროებში ამ ფაქტის ასეთი ინტერპრეტაცია, ჩვენი აზრით, გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: სიმონ მეფე ოსმალეთის წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლი იყო, რაც ქართველი ისტორიკოსებისათვის შეუძლებელს ხდიდა დაეჯერებინათ, რომ სიმონ მეფე ოსმალეთთან ზავს დადებდა და მას მორჩილებას გამოუცხადებდა. ქართულ წყაროებში სიმონ მეფის ეს ნაბიჯი ახსნილია, როგორც ქართველი მეფის მოხერხებული ღონისძიება, ერთგვარი ხრიკი, შეცდომაში შეყვანა ოსმალთა ფაშა და შემდეგ მოულოდნელად თავს დასხმოდა მას და დაემარცხებინა. ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოსმალეთთან ზავის დადების შემდეგ, სიმონ მეფე ფარულად კვლავ განაგრძობდა მათ წინააღმდეგ ბრძოლას, ხოლო შემდგომ (1598 წ.) განაახლა ომი ოსმალთა წინააღმდეგ. ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ზემოთ დასახელებული ქართული წყაროები შედგენილია XVIII ს-ის დამდეგს და მათ ავტორებს, შესაძლებელია, არ გააჩნდათ რაიმე საბუთი სიმონ მეფის ოსმალეთთან დაზავების შესახებ.

უავგუსტოვის ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ ფერჰად ფაშასთან დაზავების შემდეგ სიმონ მეფემ სტამბოლში სულთანთან ელჩები გაგზავნა ფერჰად ფაშასთან დადებული ხელშეკრულების დამტკიცების (რატიფიკაციის) მიზნით<sup>19</sup>. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ სიმონ მეფის ძმა<sup>20</sup>, მისი ნათესავი,

<sup>16</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959 წ., გვ. 374. საყურადღებოა, რომ ბერი ეგნატაშვილს ეს ეპიზოდი 1586-1592 წლების ამბებს შორის აქვს მოთხრობილი.

<sup>17</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 251.

<sup>18</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 580.

<sup>19</sup> ოსმალეთში წესად იყო შემოდებული, რომ ომის დროს მთავარსარდლის მიერ დადებულ ხელშეკრულებას სულთანს ამტკიცებდა. იყო შემთხვევები, როდესაც სულთანი არ ამტკიცებდა სარდლის მიერ დადებულ ხელშეკრულებას.

<sup>20</sup> სიმონ მეფის ორი ძმა ყავდა, დაერთი (დაუდ ხანი) და ვახტანგი. ჩვენი აზრით, სიმონ მეფემ სტამბოლში ვახტანგი გაგზავნა. დაუდ ხანის გაგზავნა სტამბოლში გამორიცხულად ჩანს, რადგან სიმონ მეფესა და დაუდ ხანს შორის შეურობებელი ბრძოლა წარმოებდა ხელისუფლებისათვის. 1569—1578 წწ. დაუდ ხანი ქართლს განაგებდა. 1582 წელს დაუდ ხანი ფერჰად ფაშასთან გამოცხადდა, მას მორჩილება გამოუცხადა და სიმონ მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას დაიპირა. სულთანმა მას სიმონ მეფისაგან ჩამორთმეული მიწები უწყალობა. შემდგომ სულთანმა დაუდ ხანი მარაშის ბეგლარბეგად დანიშნა. დაუდ ხანი ოსმალეთში დიდხანს დარჩა და მან თურქულიდან თარგმნა სამკურნალო-საექიმო წიგნი, რომელიც ცნობილია „იადიგარ დაუდის“ სახელწოდებით.

მისი მოურავი<sup>21</sup> და ნდობით აღჭურვილი რამდენიმე პირი. სიმონ მეფის მიერ სულთანთან გაგზავნილი ელჩები „ოსმალთა სახელმწიფოსათვის შესაფერისი პატივით იქნენ მიღებული“. საქართველოს წარმომადგენლების მიმართ „გამოჩენილი იქნა მზრუნველობა და მფარველობა“ სიმონ მეფესა და ფერჰად ფაშას შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

ისმის კითხვა, როდის ჩავიდა სიმონ მეფის დელეგაცია სულთანთან? ბუნებრივია, რომ საქართველოს წარმომადგენლები სტამბოლში უნდა გამგზავრებულიყვნენ სიმონ მეფისა და ფერჰად ფაშას შორის ზავის დადების შემდეგ. როგორც ზემოთ მივუთითეთ, ეს ზავი 1588 წელს დაიდო. მაშასადამე, სიმონ მეფის ელჩები სტამბოლში უნდა ჩასულიყვნენ 1588 წლის ბოლოს ან 1589 წელს, არა უგვიანეს 1590 წლისა, ე. ი. ირან-ოსმალეთის ზავის დადებამდე, რადგან, როგორც აღენიშნეთ, ეს დოკუმენტი გაცემულია ირან-ოსმალეთის ომის დროს.

საქართველოს წარგზავნილებს შეუსრულებიათ მათზე დაკისრებული მისია: სულთანმა დაამტკიცა სიმონ მეფესა და ფერჰად ფაშას შორის დადებული ხელშეკრულება. ამის შესახებ მურად III სიმონ მეფეს წერდა: „შენი სურვილი და საწადელი, კეთილად იქნა (ჩვენს მიერ) დაკმაყოფილებული... უწინ მიცემული ხელშეკრულების შესაბამისად“.

აქ მოტანილი უავგუსტოესი ხელშეკრულება, ჩვენი აზრით, არის სიმონ მეფისა და ფერჰად ფაშას შორის დადებული საზავო ხელშეკრულების პირობების დამტკიცება-დადასტურება. თუმცა იგი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც გამოწვეული იყო იმ დროს ქართლის სამეფოსა და ოსმალეთს

21 აქ მოხსენებული მოურავი, ჩვენი აზრით, გიორგი სააკაძის მამა სიაუშ სააკაძე უნდა იყოს. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ იგი სამეფო კართან დაახლოებული იყო, მაღალი თანამდებობები ეკავა და 1590 წელს ერთ საბუთში სიაუშ სააკაძე სიმონ მეფის მოურავად არის მოხსენებული („საქართველოს სიძველენი“, ე. თაყაიშვილის რედ., II, თფ., 1903, გვ. 47). ამასთან დაკავშირებით პროფ. ს. კაკაბაძე და დოც. გ. ჯამბურია გამოთქევენ მოსაზრებას, რომ. მართალია, ამ საბუთში არ არის ნათქვამი თუ რის მოურავია სიაუში, მაგრამ საფიქრებელია, რომ ის სწორედ თბილისის მოურავი იყო და შემდგომ ეს თანამდებობა მისმა შვილმა გიორგი სააკაძემ მიიღო მემკვიდრეობით, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ამ დროს (ს. კაკაბაძე, გიორგი სააკაძის ვინაობის შესახებ, საისტორიო კრებული, წ. 4, თფ., 1929, გვ. 69; გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბილისი, 1964, გვ. 23).

მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ პერიოდში სიაუშ სააკაძე თბილისის მოურავი არ შეიძლება ყოფილიყო, რადგან ამ წლებში დედაქალაქს ოსმალები ფლობდნენ. სიაუშ სააკაძე თბილისის მოურავი შეიძლება გამხდარიყო მხოლოდ 1606 წლიდან, როდესაც თბილისიდან ოსმალები განდევნეს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სიაუშ სააკაძე 1590 წლის საბუთში და ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში მოხსენებულია არა თბილისის, არამედ სიმონ მეფის მოურავად.

ამასთანავე, ამ პერიოდში იწყება სააკაძეების გვარის დაწინაურება და მათი მამულებით დასაჩუქრება. ასე, მაგალითად, 1588 წელს სიმონ მეფემ სიაუშ სააკაძეს უწყალობა სოფ. ნოსტესა და ერთაწმინდას რამდენიმე გლეხი თავისი მამულით. ამავე წელს სიაუში მეფის წყალობით იქნეს ქავახიშვილების სოფ. ოძისი. ხოლო 1594 წელს სიმონ მეფე გიორგი სააკაძეს აერთველ თავდადებითა ნამსახურს ემას უწოდებს და მას წყალობად აძლევს სოფ. ლისს (თბილისის ახლოს). სააკაძეების გვარის სხვა წარმომადგენლებიც ასევე წინაურდებიან და მეფისაგან სხვადასხვა სახის წყალობას იღებენ (იხ. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 67-75; გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 22, 28, 41). ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ სააკაძეები სიმონ მეფის ერთგული თანამებრძოლები იყვნენ და იზიარებდნენ მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ სიმონ მეფემ თავისი მოურავი სიაუშ სააკაძე მეტად საპასუხისმგებლო დავალებით სტამბოლში გაგზავნა.

შორის შექმნილი ურთიერთობით. საქმე ისაა, რომ როდესაც სულთანს უნდა დემტკიცებინა სიმონ მეფესა და ფერჰად ფაშას შორის დადებული ზავი, მან ბეგლარბეგებისაგან მიიღო ცნობა, რომ სიმონ მეფე არღვევდა საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს (იხ. ტექსტი). ამიტომ სულთანი სიმონ მეფეს აფრთხილებდა, რჩევა-დარიგებას აძლევდა დაეცვა ხელშეკრულების პირობები.

მურად III მიერ სიმონ მეფისადმი ბოძებული უავგუსტოესი ხელშეკრულება გაცემული უნდა იყოს სიმონ მეფის ელჩების სტამბოლში ჩასვლისა და შემდეგ 1590 წლის ირან-ოსმალეთის ზავის დადებამდე, ე. ი. 1589-1590 წლებში.

მართალია, ჩვენ არ მოგვეპოვება სიმონ მეფისა და ფერჰად-ფაშას შორის დადებული ხელშეკრულების ტექსტი, მაგრამ უავგუსტოესი ხელშეკრულების შინაარსიდან ცნობილი ხდება ამ საზავო ხელშეკრულების პირობები.

უავგუსტოესი ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ ოსმალეთი ცნობდა სიმონ I-ს ქართლის მეფედ, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას და არ ჩაეროდა მის საქმეებში. ხსენებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „შენს [სიმონ მეფის] უფლებაში მყოფი შენი ქვეყანა უწინდებურად შენს ხელში იყოს. შთამომავლიდან შთამომავლამდე შენ იყო მისი მფლობელი და სხვა ვინმეს ამაში ხელი არ ჰქონდეს და (ამ საქმეში) არ ჩაერიოს“.

სიმონ I-ის ქართლის მეფედ ცნობა იმას მოწმობდა, რომ ოსმალეთი იძულებული შეიქნა ქართლის ინკორპორაციაზე ხელი აეღოთ და კომპრომისის გზას დასდგომოდა.

1578 წელს ქართლის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა ქართლის სამეფო გააუქმეს და თბილისის (ქართლის) საბეგლარბეგო დააარსეს და მის გამგებლად ოსმალთა მოხელე დანიშნეს. ოსმალეთის ამ ღონისძიებას ქართველმა ხალხმა ბრძოლით უპასუხა და მტერს სიმონ მეფის მეთაურობით არაერთი დამარცხება აგემა. ქართველი ხალხის დაუცხრომელმა ბრძოლამ აიძულა სულთანი ქვეყნის გაოსმალებაზე ხელი აეღო და კომპრომისზე წასულიყო<sup>22</sup>.

საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ სულთანი სიმონ I-ს ქრისტიანობით უნარჩუნებდა მმართველობას, მურად III სიმონ I-ს შემდეგნაირად მიმართავდა: „იესოელთა დიდებული თავადების სიამაყევ, მესიელთა ხალხში წარჩინებულთა რჩეულო, ქრისტეს მალაიარებელ გვარ-ტომთა საქმეების კეთილად წარმმართველო ქართლის ქვეყნის მფლობელო სიმონ ხან“.

ოსმალეთის მიერ სიმონ I-ის ქრისტიანობით ქართლის მეფედ ცნობა ქართველი ხალხის გამარჯვება იყო, რადგან ქრისტიანობის შენარჩუნება ქართველობასთან (ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა) იყო დაკავშირებული<sup>23</sup>.

ხელშეკრულების ანალიზიდან ირკვევა, რომ ქართლის სამეფოსა და ოსმა-

<sup>22</sup> დაწერილებით იხ. მ. სვანიძე, ლალა-მუსტაფა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში, „ოსუს-სრომები“, ტ. 116, აღმოსავლური სერია, V, თბ., 1965, გვ. 783-400.

<sup>23</sup> სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა სამცხე-საათაბაგოში, როდესაც მანუჩარ ათაბაგი იძულებული შეიქნა თავისი სამფლობელოს შენარჩუნების მიზნით გამაჰმადიანებულიყო. სულთანმა მანუჩარს (მუსტაფას), მართალია, სამცხეზე მფლობელობა შეუნარჩუნა, მაგრამ ოსმალური წესის საფუძველზე, ოსმალეთმა სამცხეს ტერიტორიაზე ჩილდირის (ახალციხის) საფაშო დაარსა (1579 წ.) და აქ თავისი მართვა-გამგეობა დააწესა. იხ. მ. სვანიძე, ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსების ისტორიიდან, მაცნე, № 3, 1964 წ., გვ. 70-84.

ლეთს შორის დადებული ზავი დაფუძნებული იყო *Uti possidentis* პრინციპზე, ე. ი. ოსმალეთი ინარჩუნებდა იმ ტერიტორიებს, რომელიც მას დაპყრობილა ჰქონდა ომის შედეგად. ვინაიდან ზავის დადების დროისათვის ოსმალეთს, ფაქტიურად, ქართლში მხოლოდ მთავარი ციხე-ქალაქები ეკავა, ამიტომ ქართლის ციხეებში კვლავ ოსმალთა გარნიზონები რჩებოდნენ და სიმონ მეფის ხელისუფლება ქართლის დანარჩენ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა.

ამ დროს ქართლში შექმნილ მდგომარეობას ფარსადან გორგიჯანიძე შემდეგნაირად აგვიწერს: „ბატონ სვიმონ ქართლში მეფობდა, მაგრამ ციხეები ურუმთ ეკირათ“<sup>24</sup>.

როგორც ჩანს, სიმონ მეფე იძულებული იყო დათანხმებულიყო ქართლის ციხე-ქალაქებში ოსმალთა გარნიზონების დატოვებაზე, რადგან შექმნილ ვითარებაში უკეთესი გამოსავალი არ არსებობდა. ოსმალეთთან დაზავებით სიმონ მეფეს საშუალება ეძლეოდა ძალები მოეკრიბა, მოკავშირეები შეეძინა და ახალი შეტევა დაეწყო ოსმალთა წინააღმდეგ მათი საქართველოდან საბოლოოდ განდევნისათვის.

სიმონ ქართლის მეფე, როგორც აქ მოტანილი დოკუმენტიდან ირკვევა, ვალდებული იყო ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარაჯა (ხარკი) ეხადა (იხ. ტექსტი). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ოსმალეთსა და ქართლის სამეფოს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე მყარდებოდა, დაახლოებით ისეთივე, როგორც ადრე (1578 წლიდან) ოსმალეთსა და კახეთის სამეფოს შორის დამყარდა.

ოსმალეთთან ზავის დადების შემდეგ სიმონ მეფე არღვევდა ხელშეკრულების პირობებს და თავს ესხმოდა მათ (იხ. ტექსტი).

ამასთან დაკავშირებით მურად III სიმონ მეფეს მოუწოდებდა და აფრთხილებდა: „შენ კიდევ შენს ხელქვეით მყოფი შენი თავადები და აზნაურები და სხვები მტკიცედ გააფრთხილე და მიუთითე, რომ ციხეებში მიმავალ-მომავალ ჩემს ჯარისკაცებს, სურსათისა და ხაზინის დამტარებლებს და გამვლელ-გამომვლელებს ნურავითარ შემთხვევაში ნუ ერჩიან და ნუ გადაეკიდებიან... რათა შეუძლებელი იყოს ვნება და ზიანი მიეყენოს ვისიმე ქონებასა და სიცოცხლეს“.

სიმონ მეფის ოსმალეთთან ამგვარი ურთიერთობის გამო ოსმალთა ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა წერდა: „ვინაიდან სიმონ ხანი მედგარი და დაუყრლებელი პიროვნება იყო, ოსმალებს თავს ესხმოდა. ამის გამო მას რჩევა-გაფრთხილების ფირმანი გაეგზავნა და მან ფორმალურად მორჩილება აღიარა, მაგრამ ხელსაყრელ დროს უცდიდა, რომ მშვიდობა დაერღვია“<sup>25</sup>.

თავის მხრივ სულთანი ვალდებულებას იღებდა, დაეცვა სიმონ მეფის სამფლობელო ოსმალთა თავდასხმისა და შევიწროებისაგან და, თუ ვინმე ოსმალთაგანი დაარღვევდა სიმონ მეფის საგამგებლოს, მკაცრად დაესაჯა იგი (იხ. ტექსტი).

სულთანს კარგად ესმოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის მორჩილებასა და იქ მშვიდობიანობის დამყარებას ამიერკავკასიაში ოსმალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ირანთან ზავის დასადებად.

<sup>24</sup> ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., საისტორიო მოამბე, წიგნი II, 1925, გვ. 13.

<sup>25</sup> ციტირებულია ი. პ. უზუნჩაილის მიხედვით: *Uzunçarşılı I. H., Osmanlı tarihi*, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 107.

ყურადღებას იქცევს ის, რომ მურად III ცდილობდა სიმონ მეფესთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდა. არა მუქარით, რასაც ასე ხშირად მიმართავდნენ ხოლმე სულთნები, არამედ დაყვავება-წაქეზებითა და რჩევა-დარიგებით. მურად III სიმონ მეფეს წერდა: „შენი კეთილი მზრუნველობით ქვეყანაში როგორმე დამყარდეს მშვიდობა და სიწყნარე... გამუდმებულად ღირსი გახდეთ ჩემი მრავალნაირი სამეფო წყალობისა და ისე, რომ შენი ტოლები შენ შეგშუროდნენ“. ხოლო სულთანი ბეგლარბეგებს მოუწოდებდა: „მის (სიმონის) ჰეგობარს მეგობრობა, ხოლო მის მტერს მტრობა გაუწიეთო და მასთან ყოველნაირად მეგობრულად და გულითადად იყავითო“ (იხ. ტექსტი).

ერთი სიტყვით, სულთანი სიმონ მეფესთან მშვიდობიან ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი უნდა ყოფილიყო საწინდარი ოსმალთათვის მშვიდობისა და სიწყნარის არა მარტო ქართლში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიაც, რადგან, როგორც ცნობილია, ამიერკავკასიაში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის მედროშე სიმონ მეფე იყო.

სიმონ მეფე, მიუხედავად რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობისა, საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდა. ოსმალეთთან დაზავების შემდეგ მან გადაწყვიტა ამ მიზნის განხორციელება: „ამ ეამებთა, — წერს ვახუშტი, — ეინაიდგან გარე-მტერთა არღარა აქნდა ბრძოლა მეფესა, მოიხსენა შური გიორგი იმერთა მეფისა და ინება დაპყრობა იმერეთისა“<sup>26</sup>.

ამ მიზნის მისაღწევად სიმონმა სცადა ოსმალთა ლაშქრის გამოყენებაც. „აჩიკ ბაშისაჲნ მიემართებოდი, წერდა მურად III სიმონ მეფეს. დანმარება ითხოვე და თბილისის ყულის ჯარიდან დამხმარე სამხედრო ძალა მოგეცა და მტერზე გაიმარჯვე“.

როგორც დავინახეთ, ოსმალეთმა სამხედრო დახმარება აღმოუჩინა მეფეს დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში. ოსმალეთის ასეთი პოლიტიკა აიხსნება იმით, რომ იგი ამ გზით, ერთის მხრივ, ცდილობდა სიმონ მეფის სამხედრო ძალები მიემართა დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ, დაექსაქსა მისი ლაშქარი, რათა სიმონ მეფეს არ ჰქონოდა საშუალება შეევიწროებინა ქართლის ციხე-სიმაგრეებში განლაგებული ოსმალთა გარნიზონები, ხოლო, მეორე მხრივ, სულთანი ვარაუდობდა, რომ იმერეთის წინააღმდეგ ლაშქრობის შემდეგ სიმონ მეფის ძალები დასუსტდებოდა და იგი უფრო მეტად დამოკიდებული გახდებოდა ოსმალეთზე. ამავე დროს სიმონ მეფისათვის იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებით ოსმალეთი აღრმავებდა და აღვივებდა საქართველოს სამეფოებს შორის არსებულ შუღლსა და მტრობას, რაც საბოლოო ჯამში ასუსტებდა გარეშე მტრების წინააღმდეგ საქართველოს ბრძოლის უნარს. სიმონ მეფე კი ფიქრობდა, რომ ოსმალთა დახმარებით იგი შესძლებდა დასავლეთ საქართველოსა და ქართლის სამეფოს გაერთიანებას, ამით კიდევ მეტად განამტკიცებდა თავის ძლიერებას და შემდგომ აღვილად შესძლებდა ოსმალთა დამარცხებას და მათ საქართველოდან განდევნას.

სულთნის მიერ სიმონ მეფისადმი გაცემული უავგუსტოესი ხელშეკრულების ანალიზიდან შემდეგი დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ:

უავგუსტოესი ხელშეკრულება დაწერილი უნდა იყოს 1589-1590 წლებში. მისი ავტორია სულთანი მურად III.

უავგუსტოესი ხელშეკრულების გაცემამდე 1588 წელს სიმონ მეფისა და

ფერჰად ფაშას შორის ზავი დაიდო. ფერჰად ფაშასთან ზავის დადების შემდეგ სიმონ მეფემ სტამბოლში სულთანთან ელჩები გაგზავნა ამ ზავის დამტკიცების (რატიფიკაციის) მიზნით. ეს ელჩები სტამბოლში 1588 წლის ბოლოს, ან 1589 წელს უნდა ჩასულიყვნენ.

უვაგუსტოგის ხელშეკრულებით სულთანი ამტკიცებდა სიმონ მეფესა და ფერჰად ფაშას შორის დადებულ ზავს.

ამ საზავო ხელშეკრულების მიხედვით ქართლსა და ოსმალეთს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე დამყარდა. სიმონ მეფე ვალდებული იყო ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარკი ეხადა. ოსმალეთი ცნობდა სიმონ I-ს ქართლის მეფედ ქრისტიანობით, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას და ვალდებულებას იღებდა არ ჩარეულიყო მის სამინაო საქმეებში.

ქართლის სამეფოსა და ოსმალეთს შორის დადებული ზავი დაფუძნებული იყო *Uti possidentis* პრინციპზე, ე. ი. ოსმალეთი ინარჩუნებდა იმ ტერიტორიას, რომელიც მას დაპყრობილი ჰქონდა ომის შედეგად. ქართლის მთავარ ციხე-ქალაქებში კვლავ ოსმალთა გარნიზონები დარჩნენ. ხოლო სიმონ მეფის ხელისუფლება ქართლის დანარჩენ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა.

ოსმალეთსა და ქართლის სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულება ურთიერთ კომპრომისზე იყო დაფუძნებული და ოსმალეთი იძულებული შეიქნა ქართლის ინკორპორაციაზე ხელი აეღო.

### თურქული ტექსტი:

#### كارتيل حاكمي طرفه اصدار بيوريلان عهدنامه همايونك صورتيدر

افتخار الامراء العظام العيسويه مختار الكبراء الفخام في الملة المسيحيه مصلح  
مصالح الطايفه النصرانيه كارتيل الكاسنه متصرف اولان سيمون خان ختمت عواقبه  
بالخير توقيع ربيع همايون واصل اوليجق معلوم اوله كه بوندن اقدم سده سنیه  
سعادتمكان و عتبه عليه معدك عنوانمزه قرنداشك و خصمك و كتخدك و بعضی  
متمد عليه آدملك كوندروب مقدا سردارم اولان دستور مكرم مشير مفخم نظام  
العالم وزيرم فرهاد پاشا ادام الله اجلاله سنك احوالكه مقيد اولمفله سندخي مشاراليه  
سردارمزه مكتوب كوندروب سده سعادتمه هر وجهه اطاعت و انقياد ايدوب خراجكندار  
اولمفي سرمايه دولت بيلمكه مشاراليه بر بلق خراجك كوندروب صداقت و اخلاص  
اوزره عتبه علياه التجا و اختصاص ايلدوكك اجلدن مشاراليه سردارم طرفندن  
دخي سكا هروجهه استمالك ويريلوب تصرفده اولان الكك كماكان الكده اولوب  
نسلا بعد نسلا تصرف ايليوب اخردن دخل و تعرض اولنميه ديو عهدنامه ويريلوب  
موجبجه آستانه سعادت آشيانه طرفندن دخي عهدنامه همايونم رجا ايلمس سز ايمدى  
مأمول و مسئولك حسن قبوله موصول اولديفنندن ماعدا قرنداشك و سائر آدملك  
دولتمليه لايق رعایتلر ايله مرعى و محمى اولوب مقدا ويريلان عهدنامه موجبجه  
طرف عتبه عليامدن دخي مؤكد تمسك ويرلمك اوزره ايكن اولجانبده اولان سرحد  
بكلر يكيلرنندن على التعاقب مكتوبلر كلوب سنك ايچون چوقلق اطاعت اوزره اولميوپ  
قلعه كلوب كيدنلرى و سائر آينده و رونده بي رنجيده ايتديكندن ماعدا بن

خواجهكذار اولدم ديو قلعهر ديينده اولان مزروعانندن عشر طلب ايدوب و قلعهر اطرافنده واقع قوت قاهره خسرواني ايله قبضه تصرفه كتوريلان قرا و مزارع كما كان بنم تصرفنده اولمق لازمدر ديو دخل و نزع ايلدوكك عرض ر اعلام ايلدير ايمدى سابقا بو مرتبه صداقت و اخلاص عرض ايدوب و خراج كوندروب ماينده عهد و امان كوزهدلمك اوزره ايكن بويله اوضاعك ظهور ايتمك خلاف مأمول اولمغين اونك اصلى ندر صحتى اوزره خبر الوب سندخى غفلت اوزره اولميوب هربريكز بكليكنزه متعلق اولان عساكر نصرت مأثرم ايله حاضر و ميا اولهسز ديو بكر بكيلىره بحكام شريفه كوندرلمشيدى حالا تفليس بكر بكيلىسى مكتوب كوندروب سنك ايچون آستانه سعادته كمال مرتبه اطاعت و انقياد اوزره اولمغله اجق باش جانبته توجه ايتدكده استعانت ايتمكين تفليس قوللردن عسكر ويريلوب واروب خصمنه غالب اولمشدر ديو عرض ايلمش اويله اولديسه سنك بو وجهه اطاع و انقيادك معلوم شريفم اولمغله تكرر بكر بكيلىره مؤكد احكام شريفه كوندريلوب مادامكه صداقت و اخلاص اوزره اوله الكاسنه دخل و تعرض ايتميوب دوستنه دوست و دشمننه دشمن اولوب هروجه موالات و مصافات اوزره اولهسز ديو هر برينه محكم تنبيه و تاكيد اولنمشدر اما سكا دخى مناسب دكلدر كه مجرد خواجهكذار اولدم ديو قلعهر بنا اولنديقى زمانده قوت قاهره ملوكانهمله قبضه تسخير و تصرفه كتوريلان قرا و مزارعه دخل ايدوب قلعهر ديينده اولان مزروعانندن عشر طلب ايلهسن هر قلعهنك اطرافنده اولان قرا و مزارع اورسى اولنديقى محل دكلدر ايمدى جبلتكنزده مركزز اولان صداقت و اخلاص موجبجه دائما عهد و امان خصوصى ايله مقيد اولوب هر كسك اغوا و تحريكى ايله بيهوده اوضاع ارتكاب ايتميوب بكر بكيلىرمدن فرمان همايونمه مغاير بر وضع صادر اولورسه بر معتمد عليه آدمكه صحت و حقيقىتى اوزره مفضلا يازوب دركاه معلومه عرض ايلهسنكه جزاسى ويريله و سندخى تحت حكومتكده اولان طواتلىرىكه و ازانورلىرىكه و سائرلره محكم تنبيه و تاكيد ايلهسنكه قلعهره واروب كلان قوللريمه و ذخيره و خزينه ارسال ايدنلره و آينده و رونديه بوچه من الوجوه دخل و تعرض ايتميه لر و بالجمله حسن اهتمامك ايله اورتالق بروجه امن و امان اوزره اولمق كركدر كه بر فردك مالنه و جاننه ضرر و زيان مترتب اولمق احتمالى اولميه و قلاع نفراتندن بعضيلرى بوجانبك تصرفنده اولان قران ماعدا سنك الكاكه تابع قرا و مزارعه دخل و تعرض ايدرلرسه بكر بكيلىرينه اعلام ايلهسنكه انك كيبى ثقيلرك حقندن كلوب اصلا مجال ويرميه اكر بكر بكيلىرى اهمال يدرسه معجلا سده سعادتمه عرض ايلهسنكه اول بكر بكيلى يى عزل ابدى ايله قوميوپ اشد عقوبت ترتيب اولنه بو خصوصر ايچون كندو خطلكه شافى جواب يازوب اكوندردسنكه اول مكتوبك سده سعادتمه دستورالعمل اولوب استراحتده آسوده و مهد راحتده غنوده اولوب دائما انواع عنایت ملوكانهمه مظهر اولمغله محسود الاقران اولهسن

თარგმანი:

ქართლის მბრძანებლისადმი გაცემული უამბუსტოვის ხელშეკრულების პირია.

იესოელთა დიდებული თავადების სიამაყევე, მესიელთა ხალხში წარჩინებულთა რჩეულო, ქრისტეს მალიარებელ გვარ-ტომთა საქმეების კეთილად წარ-

მმართველო, ქართლის ქვეყნის მფლობელო სიმონ ხან—ალაჰმა კეთილი დასასრული მისცეს მას—როდესაც [ეს] მაღალი და სამეფო სიგელი [თქვენთან] მიადწევს, იცოდეთ, რომ ამას წინეთ ჩემს მაღალს და ბედნიერებამოსილ ზღურბლსა და სამართლიანობად წოდებულ ჩემს უზენაეს სამეფო სასახლეში შენ გამოაგზავნე შენი ძმა, შენი ნათესავი, შენი მოურავი და [კიდე] ნლობით აღჭურვილი შენი რამდენიმე კაცი. ჩემი სარდალი, პატივმოსილი დესთურ<sup>27</sup>, ჩემი დიდებული მუშირი, ქვეყნის მომწესრიგებელი ვეზირი ჩემი ფერჰად ფაშა—ხანგრძლივი იყოს დიდებულება მისი—დიდი ყურადღებით ეკიდება შენს საქმეებს; და ამას წინეთ შენც მას, აღნიშნულ ჩვენს სარდალს, წერილი გამოუგზავნე და ჩემს სვებედნიერ სამეფო ტახტს ყოველმხრივი მორჩილება და გამგონობა გამოუცხადე, მისი მოხარაჯეობა ბედნიერების წყაროდ მიიჩნიე და ზემოხსენებულ [სარდალს] შენი წლიური ხარაჯა გამოუგზავნე და [ამრიგად] ერთგულად და გულწრფელად მიენდევ და შემოათარე თავი ჩემს უზენაეს კარს. ამიტომ აღნიშნულმა ჩემმა სარდალმაც ყოველმხრივ შეგიწყნარა და მოგეცა შენ [სარდლისაგანი] ხელშეკრულება იმაზე, რომ შენს უფლებაში მყოფი შენი ქვეყანა უწინდებურად შენს ხელში იყოს, შთამომავლიდან შთამომავლამდე შენ იყო მისი მფლობელი და სხვა ვინმეს ამაში ხელი არ ჰქონდეს და [ამ საქმეში] არ ჩაერიოს. [ამ ხელშეკრულების] შესაბამისად თქვენ ჩემი ბედნიერების ბუდე სასახლიდანაც გითხოვიათ სამეფო პირობის წიგნი. ამგვარად, გარდა იმისა, რომ შენი სურვილი და საწადელი კეთილად იქნა [ჩვენს მიერ] დაკმაყოფილებული, შენი ძმა და სხვა შენი კაცები ჩემი მაღალი ოსმალთა სახელმწიფოსათვის შესაფერისი პატივით იქნენ მიღებულნი და მათ მიმართ გამოჩენილ იქნა მზრუნველობა და მფარველობა და უწინ მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად, ჩემი უზენაესი კარიდანაც ეს-ეს იყო მტკიცე საბუთი უნდა მოგვეცა, რომ მაგ მხარეში მყოფ მესაზღვრე ბეგლარბეგებისაგან ზედხედ წერილები მოვიდა. [ამ წერილებით] მომახსენეს და შემატყობინეს, რომ შენ ხშირად მორჩილებიდან გამოდიხარ, ციხეში მომსვლელებსა და სხვა გამკლულ-გამომკლულებს ავიწროებ და, გარდა ამისა, აქაო და მე მოხარაჯე ვარო, ციხესთან ახლო მდებარე ნათესებიდან უშურს ითხოვ და ამბობ, რომ ციხეების გარშემო განლაგებული და ჩემი სამეფო და უძლიერესი ჯარის მიერ დაპყრობილი სოფლები და ნათესები უწინდელივით ჩემს მფლობელობაში უნდა იყოსო, ჩხუბობ და საქმეში ერევი. ამრიგად, უწინ რომ ამოდონა ერთგულება და გულწრფელობა გვაჩვენე, ხარაჯა გამოგზავნე და ახლა, როდესაც ჩვენ შორის მშვიდობიანობისა და შეთანხმებულობის დამყარებას ველოდით. ასეთი ვითარების შექმნა ეწინააღმდეგება ჩვენს მიზანდასახულობას. ამიტომ ბეგლარბეგებს უკვე დაეგზავნათ პატიოსანი ბრძანებები, რათა მათ ჭეშმარიტებით გააკვიონ თუ რა არის [ქველათერი] ამის არსი და თითოეული ბეგლარბეგი ფრთხილად იყოს და მისი საბეგოსადმი დაქვემდებარებული ჩემი ძლევამოსილი ჯარით სრულ მზადყოფნაში იდგეს. ამჟამად კი თბილისის ბეგლარბეგმა<sup>28</sup> გამოგზავნა წერილი, რომელშიაც შენ შესახებ მომახსენა, რომ შენ სრულ მორჩილებასა და გამგონობას იჩენ სვებედნიერი [ჩემი] კარის წინაშე, როდესაც აჩიკბა-

<sup>27</sup> დესთურ—(სპ.) არაბიზებული დუსთურ-ი (→თ. düstur)—დადი და გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწე, ვეზირი, უფრო ხშირად ვეზირებისა და დიდვეზირების ტიტულად იხმარება.

<sup>28</sup> თბილისის საბეგლარბეგო ოსმალებმა 1578 წელს დააარსეს და იგი 1606 წლამდე არუბობდა, ოსმალების თბილისიდან განდევნამდე.

შისაკენ<sup>29</sup> მიემართებოდი, დახმარება ითხოვე და თბილისის ყულის ქარიდან დახმარე სამხედრო ძალა მოგეცა, წახვედი და მტერზე გაიმარჯვე. თუ ეს ასე იყო. მე კეთილად მოვისმინე შენი ასეთი მორჩილება და გამგონობა და ამიტომ კვლავ გავუგზავნე ბეგლარბეგებს მტკიცე და პატიოსანი ბრძანებები და თითოეული მათგანი მტკიცედ და დაბეჭითებით გავაფრთხილე და მავუთით-თე, რომ რამდენადაც ჩვენთან ერთგულად და პირიანად არის, მის ქვეყანას არ ჩააცივდეთ და მის საქმეში არ ჩაერიოთ-მეთქი, იმის მეგობარს მეგობრობა, ხოლო მის მტერს მტრობა გაუწიეთ და მასთან ყოველნაირად მეგობრულად და გულითადად იყავით-მეთქი. მაგრამ არც შენ შეგფვერის, მხოლოდ იმიტომ, რომ მოხარაჯე ვარო და ციხეები რომ შენდებოდა ჩემი ძლიერი და სამეფო ჯარებით დაპყრობილი და დამორჩილებული სოფლებისა და ნათესების საქმეებშია ერევი და ციხის მიდამოებში მდებარე ყანებიდან უშურს ითხოვ. ყველა ციხის გარშემო მდებარე სოფელი და ნათესი გალავნით არაა შემოზღუდული.

ამრიგად, თქვენს ბუნებით თანდაყოლილი ერთგულებისა და გულითადობის შესაბამისად ეცადეთ იყოთ მშვიდობიანად და პირიანად, სხვისი შეცდენისა და წაქეზების მეშვეობით ტყუილ-უბრალოდ ბოროტებას ნუ ჩაიდენთ. უკეთუ ჩემს ბეგლარბეგებში თავს იჩენს ისეთი ვითარება, რომელიც ეწინააღმდეგება ჩემს უზენაეს ბრძანებას, შენს მიერ ნდობით აღჭურვილი კაცის საშუალებით დაწვრილებით და სიძარტლისა და ჭეშმარიტების საფუძველზე მომწერე ამის შესახებ და ჩემს უზენაეს კარს მოახსენე, რომ მათ სათანადო სასჯელი მიეზღოთ. შენ კიდევ შენს ხელქვეით მყოფი შენი თავადები და აზნაურები და სხვები მტკიცედ გააფრთხილე და მიუთითე, რომ ციხეებში მიმავალ-მომავალ ჩემს ჯარისკაცებს, სურსათისა და ხაზინის დამტარებლებსა და გამვლელ-გამომვლელებს ნურავითარ შემთხვევაში ნუ ერჩიან და ნუ გადაეკიდებიან. და საერთოდ საჭიროა, რომ შენი კეთილი მზრუნველობით ქვეყანაში როგორმე დამყარდეს მშვიდობა და სიწყნარე, რათა შეუძლებელი იყოს ვნება და ზიანი მიეყენოს ვისიმე ქონებასა და სიცოცხლეს. ხოლო თუ ვინმე მეციხოვნე ჯარიდან ჩვენს მფლობელობაში მყოფი სოფლების გარდა შენი ქვეყნისადმი დაქვემდებარებული სოფლებისა და ნათესების საქმეში ჩაერევა, ან ვისმე თავს დაესხმის, ეს მათ ბეგლარბეგს აცნობე, რომ მაგისტანა ავაზაკებს სათანადოდ გაუსწორდნენ და ამისი საშუალება არ მისცენ. და უკეთუ მათმა ბეგლარბეგმა ამას ყურადღება არ მიაქციოს, დაუყოვნებლივ მოახსენე ჩემს სვებედნიერ კარს, რათა ამ ბეგლარბეგს მარტო სამსახურიდან სამუდამოდ დათხოვნა კი არ ვაკმარო, არამედ უფრო სასტიკად გავუსწორდე. ამ ვითარების შესახებ შენი ხელით დამაკმაყოფილებელი პასუხი დაწერე და გამომიგზავნე, რომ ეს შენი წერილი ჩემს ბედნიერებამოსილ სასახლეში სახელმძღვანელო დასტურლამალი იყოს, თქვენ კიდევ მყუდროებაში იყოთ და დამშვიდებული გეძინოთ. გამუდმებულად ღირსი ვახდეთ ჩემი მრავალნაირი სამეფო წყალობისა და ისე, რომ შენი თანატოლები შენ შეგშუროდნენ“.

<sup>29</sup> აჩიკბაში-იმერეთი (ამაზე დაწვრილებით: გურჯისტანის ვილაჟეთის დიდი ჯაეთარი, III, თბილისი, 1958, გვ. 80-83.

## ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-ТУРЕЦКИХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ В 1588—1590 гг.

М. Х. СВАНИДЗЕ, С. С. ДЖИКИЯ

### Резюме

В подлежащей работе опубликована копия договора, выданная Мурадом III Картлийскому царю Симону I, перевод ее на грузинский язык, комментарии и исследование этого источника. Упомянутый документ представлен во втором томе сборника Ахмеда Феридун Бея «Маджма'а и мушша'ат-и Селатин».

По сей день этот документ не был предметом специального исследования грузинских историков.

Договор заслуживает внимания во многих отношениях. В результате его изучения представляется возможность по-новому осветить ряд вопросов грузино-турецких взаимоотношений.

Договор не датирован; по нашему мнению, он составлен в 1589-1590 годах султаном Мурадом III.

Из анализа этого документа выясняется, что в 1588 году между Симоном I и турецким главнокомандующим (в ирано-турецкой войне) Ферхад-пашой было заключено перемирие. С целью его ратификации Симон I отправил в Стамбул к султану своих послов.

Согласно условиям этого договора царь Симон был обязан ежегодно выплачивать дань в пользу Турции. Султан же признавал Симона I властителем Картли, не требуя от него отступничества от христианской религии, а также права наследства и гарантировал невмешательство во внутренние дела грузинского царя.

Договор, заключенный между двумя странами (Картли и Турцией) был основан на принципах *Uti possidentis*, т. е. Турция сохраняла за собой территорию, завоеванную в этой войне; в главных крепостях Картли по-прежнему оставались турецкие гарнизоны, права же царя Симона распространялись на остальную территорию страны. Таким образом, султан был вынужден отказаться от мысли полной инкорпорации Картли.